დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109. 109241783**
თარიღი:**26/06/2024**

დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ა (ა) ი პ ,,ბავშვი, ოჯახი, საზოგადოებისათვის'' ფართის სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის, მე-2-ე პუნქტის, 26-ე მუხლისა და დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 12 ივნისის №108-1082416452 წერილის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს ა(ა)იპ ,,ბავშვი, ოჯახი, საზოგადოებას'' (ს/კ 211348816), ქ. დმანისში, ქეთევან დედოფლის ქუჩაზე მდებარე შენობიდან (ს/კ 82.01.45.351) 173,00 კვ.მ ფართი, ,,დმანისის ბავშვთა დღისა და ადრეული განვითარების ცენტრის'' გახსნის მიზნით, სარგებლობის უფლებით, ქირის საფასურის ოდენობა განისაზღვროს 1 (ერთი) ლარი წელიწადში.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი